გურთიად
GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ
კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 21 – 28 Şubat / თებერვალი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 722.0	4.8 %	12.7 %	6.4 %

Gürcistan Ekonomi Bakanı'n Beyaz Rusya'ya Ziyareti
საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ვიზიტი ბელარუსიაში

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava, Beyaz Rusya'ya resmi ziyareti gerçekleştirdi. Ziyaret çerçevesinde Bakan Beyaz Rusya Başbakanı Sn. Sergey Rumas ile bir araya geldi.

Toplantı sırasında Natia Turnava, Beyaz Rusya'yı Gürcistan için önemli ve sabit ticaret ortağı olarak tanıtır, ülkeler arasında ticari olarak daha fazla potansiyelin var olduğu belirtti. Görüşmede ülkelerin teknoloji, tarım ekipmanları, ulaşım ekipmanları alanında başarılı bir şekilde işbirliği yaptıkları kaydedildi. Bununla beraber Gürcü taraf Beyaz Rusya'ya serbest ekonomi ve endüstriyel bölgeleri açısından işbirliğinin güçlendirilmesi teklif etti.

Beyaz Rusya Başbakanı ise iki ülke arasındaki ticaret ilişkilerin devam etmesini memnuniyetle karışılacağını belirtti. Başbakanın belirttiğine göre, Beyaz Rusya Gürcistan tarım sektörünün modern agrotekniği ile sağlamasında ve aynı zamanda Gürcü tarafı ile birlikte teknoparkların ve bilim projelerinin ortak geliştirilmesinde hazır.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ოფიციალური ვიზიტით ბელარუსს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მინისტრი ბელარუსიის პრემიერ-მინისტრ სერგეი რუმასს შეხვდა.

ნათია თურნავას განცხადებით, დღეისათვის საქართველო და ბელარუსი სტაბილური სავაჭრო პარტნიორები არიან, თუმცა აღნიშნა, რომ ვაჭრობის მხრივ პოტენციალი უფრო მეტია. შეხვედრისას აღინიშნა რომ ქვეყნები წარმატებით თანამშრომლობენ ტექნოლოგიების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სატრანსპორტო ტექნიკის მიმართულებით და არსებობს შესაძლებლობა რომ გაძლიერდეს თანამშრომლობა ლოგისტიკის სექტორში. შეხვედრისას ქართულმა მხარემ ბელარუსს თავისუფალი ინდუსტრიული და ეკონომიკური ზონების კუთხით თანამშრომლობის განვითარებაც შესთავაზა.

თავის მხრივ, ბელარუსის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მიესალმება ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებას. მისივე განცხადებით, ბელარუსული მხარე მზად არის, აქტიურად ჩაერთოს ქართული აგრარული სექტორის თანამედროვე აგროტექნიკით უზრუნველყოფაში, ასევე ქართულ მხარესთან ერთად ტექნო პარკებისა და სამეცნიერო პროექტების ერთობლივ განვითარებაში.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Gürcistan'ın Dış Ticareti – Ocak 2020 Yılı
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ. იანვარი

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 882.5 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %5.7 ile daha fazla. İhracat 262.6 milyon ABD dolar (artış oranı %10.0), ithalat ise - 619.8 milyon ABD doları (artış oranı %4.0) olmuştur. Negatif ticaret bilançosu 357.2 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 40.5 teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 882.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 262.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (10.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 619.8 მლნ. აშშ დოლარს (4.0 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, მიმდინარე წლის იანვარში, 357.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტია.

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %72.2 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye 117.1 mln $, Çin 109.4, mln $, Rusya 106.0 mln $.

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 72.2 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (117.1 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (109.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (106.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %82.8 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin – 44.4 mln $, Azerbaycan – 44.0 mln $, Rusya – 33.4 mln $.

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 82.8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (44.4 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (44.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (33.4 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %70.4 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 97.2 mln $, Rusya – 72.6 mln $, Çin – 65.0 mln $.

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.4 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (97.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (72.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (65.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 Yılı Ocak ay döneminde, bir önceki yılın verilerine göre Gürcistan'ın Gayrı Safi Yurtiçi Hasıla %5.1 büyüdü.

2020 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.1% შეადგინა.

Ocak Ayında Elektrik İthalatı Arttı
იანვარში ელექტრო ენერგიის იმპორტი გაიზარდა

2020 yılı Ocak ayında Gürcistan'a elektrik ithalatı arttı. Bir önceki yılın aynı dönemine göre, Gürcistan 32.6 milyon kilowatt ile daha fazla elektrik satın aldı. Gürcistan 2019 yılında 181.673 milyon KW elektrik satın aldı, 2020 yılında ise 214.260 milyon KW. İthalatı yapan esas ülkeler Rusya ve Azerbaycan'dır:

Ülke / ქვეყანა	2019	2020
Rusya / რუსეთი	4.852 mln/მლნ KW	136.806 mln/მლნ KW
Azerbaycan / აზერბაიჯანი	176.821 mln/მლნ KW	77.455 mln/მლნ KW

2020 წლის იანვარში, ელექტროენერგიის იმპორტი საქართველოში გაიზარდა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქვეყანამ 32.6 მლნ კვტ.სთ-ით მეტი ელექტროენერგია იყიდა. 2019 წელს საქართველომ 181.673 მლნ კვტ.სთ ელექტრო ენერგია შეიძინა; 2020 წელს კი - 214.260 მლნ კვტ.სთ. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები კი რუსეთი და აზერბაიჯანი არიან:

Gürcistan'a Para Transferi
ფულადი გზავნილები საქართველოში

Gürcistan Ulusal Banka tarafından yayınlanan bilgilere göre 2020 yılı Ocak ayında, Gürcistan'a para transferlerle gelen para miktarı 125.6 milyon Dolar (352.2 milyon Lari) olmuştur, büyüme oranı %8.6 – 9.9 milyon Dolar.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2020 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 125.6 მლნ აშშ დოლარი (362.2 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 8.6%-ით (9.9 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2019 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

Yasa Değişikliği
საკანონმდებლო ცვლილებები

Değerli üyelerimiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale üyemiz "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanmış makalesini bilgilerinize sunar.

ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

Meclise sunulan taslak gereğince İFLAS KANUNU değişmesi planlanmaktadır. Yeni yasanın ismi "REHABİLİTASYON VE ALACAKLILARIN TALEBİNİN TOPLU OLARAK KARŞILANMASI" olarak belirlenecektir. Adı geçen yasanın amacı rehabilitasyonum sağlanması suretiyle alacaklıların taleplerinin karşılanmasıdır, ayrıca Rehabilitasyonun sağlanmasının mümkün olmadığı takdirde ise malın satışa çıkarılması sonucunda elde edilen tutarın alacaklılara dağıtılmasıdır.

Yasa taslağına göre yeni değişiklikler yürürlüğe girecektir. Somut olarak, hak sahipliğinin sırası ve statüsünün değişmesi, bundan sonra Gelirler Daire Başkanlığı birinci sıra öncelikli alacaklı statüsüne sahip olmayıp sıradan biri alacaklı olacaktır. İflas/rehabilitasyon süreci Milli İcra Bürösü tarafından yürütülmeyecektir, adı geçen süreç İflas Memuru tarafından gerçekleştirilecektir.

Yasa taslağında yer alan değişikler sayesinde iflas aşamasında olan şirketlerin rehabilitasyon aşamasına geçeme (conversıon) imkanı da ortaya çıktı. Yasa taslağı gereğince belirlenen anlaşma usulüne göre, alternatif bir prosedür olarak, borçlu mahkeme davasına girmeden ve ek masrafları yapmadan, mali sıkıntıları aşma yollarını bulup alacaklılarla anlaşma yapma imkanına sahip olmaktadır.

Yasa, özel sektörü ile uluslararası eksperlerin katılımıyla ve en iyi tecrübelerden faydalanarak hazırlanmıştır.

Neticede, yeni yasa sayesinde iş sektörü, mali krizinin başladığının hemen ilk etabında, iflas prosedürlerinin yerinde rehabilitasyon mekanizmalarını kullanma fırsatına sahip olacaktır. Yasa Taslağı, Gürcistan Hükümetinin inisiyatifine dayanarak, Gürcistan Adalet Bakanlığı tarafından düzenlenmiştir.

პარლამენტში შესული კანონპროექტის მიხედვით იცვლება გადახდისუუნარობის კანონი, სახელწოდებად განისაზღვრა კანონი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო

რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში- გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხის გადანაწილების გზით.

კანონის ახალი პროექტით შემოთავაზებულია ცვლილებები, მათ შორის საგადასახადო მოთხოვნების რიგითობისა და სტატუსის ცვლილება, კერძოდ შემოსავლების სამსახური ხდება რიგითი კრედიტორი სხვებთან ერთად, ის აღარ იქნება უპირობოდ პირველი რიგის კრედიტორი. მოხდება გაკოტრების/რეაბილიტაციის პროცესისაგან აღსრულების ეროვნული ბიუროს დისტანცირება, მას ჩაანაცვლებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი.

ცვლილებებით გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანიის რეაბილიტაციის პროცესში გადასვლის (კონვერსიის) შესაძლებლობაც გაჩნდა. კანონპროექტით განისაზღვრა რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტის ცნება, რომელიც ალტერნატიული პროცედურაა, რომელიც მოვალეს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს არსებითი ჩარევის

გარეშე და ნაკლები დანახარჯებით გამონახოს ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და მიაღწიოს შეთანხმებას კრედიტორებთან და ა.შ

კანონპროექტი კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების ჩართულობითა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა.

შედეგად, კანონი ბიზნესს მისცემს საშუალებას, ფინანსური კრიზისის საწყის ეტაპზევე გამოიყენოს რეაბილიტაციისათვის საჭირო მექანიზმები, გაკოტრების პროცედურის ნაცვლად.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ინიციატორი საქართველოს მთავრობა გახლავთ.

GÜRCİSTANDA DİKİLİ BİR AĞACIN OLSUN

დარგე ერთი ხე საქართველოში

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (28.02.2020)

USD/GEL –2.8867 TRY/GEL – 0.4874 EUR/GEL –3.2005 GBP/GEL – 3.7899

USD/GEL

21 – 28 Şubat 2019

USD/TRY

21 – 28 Şubat 2019

TRY/GEL

21 – 28 Şubat 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 74